აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 28

20/08/2016 წელი ქ. ბათუმი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნებისათვის პარტიისა და მისი წარმომადგენლის რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ

მოქალაქეთა პოლიტიკურმა გაერთიანებამ „ერთიანობის დარბაზი“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნებისათვის საარჩევნო სუბიექტად რეგისტრაციის მიზნით „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 35-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე 2016 წლის 10 აგვისტოს უსკოში წარმოადგინა განცხადება.

მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების „ერთიანობის დარბაზი“ მიერ წარმოდგენილი განცხადება და თანდართული მასალების შემოწმების შემდეგ დადგინდა, რომ აკმაყოფილებდა „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 35-ე მუხლის პირველი მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტებით დადგენილ მოთხოვნებს.

2016 წლის 10 აგვისტოს „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 36-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, განცხადების წარმოდგენისთანავე უსკოს აპარატის საერთო სამსახურის მიერ მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების „ერთიანობის დარბაზი“ ხელმძღვანელს გადაეცა მხარდამჭერთა სიის ნიმუში.

მოქალაქეთა პოლიტიკურმა გაერთიანებამ „ერთიანობის დარბაზი“ „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 36-ე მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილ ვადაში (არჩევნების დღემდე არა უგვიანეს 50-ე დღისა) არ წარმოადგინა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე რეგისტრირებული აქტიური საარჩევნო უფლების მქონე საქართველოს მოქალაქეთა არანაკლებ 3000 მხარდამჭერ ამომრჩეველთა სია (ხელმოწერები).

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, 36-ე მუხლის მე-2 პუნქტის და 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე, **ვადგენ:**

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნებისათვის უარი ეთქვას რეგისტრაციაზე მოქალაქეთა პოლიტიკურ გაერთაინებას **„ერთიანობის დარბაზი“** და მის წარმომადგენელს **დავით ხიმშიაშვილს.**

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

3. ეს განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

პარმენ ჯალაღონია

თავმჯდომარე